კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**მენეჯმენტი** **Management**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	**მენეჯმენტის ბაკალავრი** **Bachelor of of Management**
ფაკულტეტის დასახელება	**საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი**
პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	240 ECTS კრედიტი (4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა ინიცირებული იქნა და შემუშავდა 2017 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №3, 17.11. 2017წ., აკადემიური საბჭოს დადგენილება №82(17/18), 15.04.2018წ..) პროგრამა განახლდა 2018წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №2. 20.09. 2018წ., აკადემიური საბჭოს დადგენილება №1 (18/19), 21.09.2018წ.); პროგრამაში შევიდა ცვლილებები 2018 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №5. 26.11. 2018წ., აკადემიური საბჭოს დადგენილება №13 (18/19), 26.11.2018წ.); აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №3 09.01.2019წ; პროგრამაში შევიდა ცვლილებები 2019 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №8. 22.04.2019წ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №5(19/20), 20.09.2019წ.); პროგრამაში შევიდა ცვლილებები 2019 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი№5, 17.12.2019წ.; პროგრამაში შევიდა ცვლილებები 2020 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი№6, 23.01.2020წ. პროგრამა დამტკიცდა 2020 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №8 11.03.2020წ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №42(19/20), 08.04.2020წ.).
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები	**ლალი ხარბედია** - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ბიზნესის მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ტელეფონი: 595 21 54 05; ელ.ფოსტა: lali.kharbedia@atsu.edu.ge **ამირან ბრეგვაძე** - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მოდელირების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. ტელ.: 578 13 18 01 ელ.ფოსტა: amirani.bregvadze@atsu.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ✓ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-ატესტატი და

	ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს აბიტურიენტს სტუდენტის სტატუსს; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ✓ გარე და შიდა მობილობა
პროგრამის მიზნები	პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად განახორციელონ მმართველობითი, ოპერაციული, ფინანსური, საპროექტო, ინოვაციური, სტრატეგიული და სხვა მენეჯერული საქმიანობა ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებში; ასევე გადაჭრან ლოგისტიკის სფეროში წამოჭრილი პრობლემები საზღვაო ტრანსპორტთან მიმართებაში.
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	
ცოდნა და გაცნობიერება	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** ✓ განსაზღვრავს ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობის დაგეგმვის და ხელმძღვანელობის ასპექტებს მმართველობითი და ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ბიზნესის სფეროს განვითარების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით; ✓ აანალიზებს მენეჯმენტის სფეროს (ზოგადი მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, ინოვაციური მენეჯმენტის, ლოგისტიკის, პროექტის მართვის, მარკეტინგისა და ფინანსური მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის, ლიდერობის) ძირითად კონცეფციებს, პრინციპებსა და მახასიათებლებს; ✓ ახდენს მენეჯერის ადექვატური მოქმედების მნიშვნელობის შეფასებას ახალ და ცვალებად ბიზნეს გარემოში დარგის სპეციფიკის და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით; ✓ აფასებს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებაში საზღვაო ნავსადგურების/ტრანსპორტის როლს და მნიშვნელობას, აანალიზებს ლოგისტიკისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მენეჯმენტის თავისებურებებს.
უნარი	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:** ✓ სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის საწარმოების საქმიანობის დაგეგმვა, მმართველობითი ფუნქციების განხორციელება და ეფექტურობის შეფასება, მართვის პროცესში წამოჭრილი რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა; ✓ ბიზნესის გარემოს და ფირმის კონკურენტუნარიანობის შეფასება და დასაბუთებული დასკვნების ფორმირება ინფორმაციის დამუშავების სტანდარტული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით; ✓ მმართველობითი მიზნებისათვის ფინანსური აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტირება, ფირმის მდგომარეობისა და საბოლოო შედეგების

	შეფასება და ამის საფუძველზე განვითარების ალტერნატიული გზების დასახვა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ✓ კონკრეტული პროექტების სახით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და ეფექტური პრეზენტაცია; ✓ ორგანიზაციის და ინსტიტუციების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების დამუშავების საფუძველზე საზღვაო სატრანსპორტო ფირმების პრობლემების - მმართველობითი, კომერციული, უსაფრთხოების და სხვა - იდენტიფიცირება და გადაჭრა.

სწავლება/სწავლის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის ცოდნის გადაცემის საშუალებებია: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, კონსულტაცია, და სხვ. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლება/სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ), რომელიც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგი სახით:
I.ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები -140 ECTS კრედიტი;
II. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS კრედიტი;
III. თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი;
IV. თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS კრედიტი;
V. კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ - 30 ECTS კრედიტი.
(დანართი 1. მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007), №785 (21.09.2009), №07/ნ (29.01.2016) ბრძანებებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №5 (15.09. 2017) დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით.
სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა)დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასების ხვედრითი წილი -ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ სტუდენტის აქტივობა სემესტრის განმავლობაში - 30 ქულა;
- ✓ შუალედური გამოცდა - 30 ქულა;

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული

სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- (FX) ვერ ჩააბარა-ს მიღების შემთხვევაში უსდ ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.
- დასკვნითი გამოცდა დაძლეულად ითვლება დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური 40 ქულიდან არანაკლებ 15 ქულის მიღების შემთხვევაში და დასკვნით გამოცდაზე 15 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, შეფასდება FX–ით (ვერ ჩააბარა).
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შფასებას არ ემატება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-დან 50 ქულის მიღების შემთხვევაში საბოლოო საგომოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F)-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულმა შეიძლება დაიკავოს ქვედა და საშუალო დონის მენეჯერის თანამდებობა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებში.

დასაქმების ძირითადი სფეროებია: კერძო და საჯარო ორგანიზაციების სტრუქტურული განყოფილებები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეკონომიკური და ლოგისტიკური სამსახურები (სატრანსპორტო ტერმინალები, საზღვაო ნავსადგურები), შემოსავლების სამსახური (საბაჟო გამშვები პუნქტები, გაფორმების ეკონომიკური ზონები) და სხვ.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწელეობს აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი: პროფესორი - 3; ასოცირებული პროფესორი - 5; ასისტენტ პროფესორი - 4; მოწვეული სპეციალისტი - 8 (მათ შორის 2 დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები: მენეჯმენტის პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს XX სასწავლო კორპუსი (მისამართი: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №11), საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები (წიგნადი ფონდი, ელექტრუნული ბაზა), საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრი, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, სწავლებისათვის აუცილებლად საჭირო სხვა სასწავლო მასალები.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კურსის პარალელურად სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან ქ. ფოთში ფუნქციონირებად მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებულ საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავ კომპანიებსა და ტერმინალებზე.

სასწავლო გეგმა 2020-2024 ს.წ.
პროგრამის დასახელება: მენეჯმენტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნი თი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	I. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (140 კრედიტი)															
I.1.	მიკროეკონომიკის პრინციპები	5	125	45	3	77	2/1/0/0	X								
I.2	უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1	5	125	60	3	62	0/4/0/0	X								
I.3	მათემატიკა ბიზნესისათვის 1	5	125	45	3	77	1/2/0/0	X								
I.4	საინფორმაციული ტექნოლოგიები	5	125	45	3	77	0/0/3/0	X								
I.5	მაკროეკონომიკის პრინციპები	5	125	45	3	77	2/1/0/0		X							I.1.
I.6	უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2	5	125	60	3	62	0/4/0/0		X							I.2.
I.7	მათემატიკა ბიზნესისათვის 2	5	125	45	3	77	1/2/0/0		X							I.3.
I.8	ბიზნესის საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/0		X							
I.9	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/0			X						
I.10	უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 3	5	125	60	3	62	0/4/0/0			X						I.6.
I.11	Excel ბიზნესისათვის	5	125	45	3	77	0/0/3/0			X						I.4.

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნი თი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
I.12	ფინანსური აღრიცხვა 1	5	125	45	3	77	1/2/0/0			X						
I.13	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	5	125	45	3	77	1/2/0/0			X						I.7.
I.14	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/2/0/0				X					
I.15	დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	5	125	60	3	62	0/4/0/0				X					I.10.
I.16	ოპერაციული მენეჯმენტი	5	125	45	3	77	1/2/0/0				X					I.9.
I.17	ფინანსური აღრიცხვა 2	5	125	45	3	77	1/2/0/0				X					I.12.
I.18	ფინანსების საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/0					X				
I.19	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	125	45	3	77	2/1/0/0					X				I.9.
I.20	ლოგისტიკის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/2/0/0					X				
I.21	მმართველობითი აღრიცხვა	5	125	45	3	77	1/2/0/0					X				I.17.
I.22	ინოვაციური მენეჯმენტი	5	125	45	3	77	2/1/0/0						X			I.9.
I.23	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/2/0/0						X			I.9.
I.24	ორგანიზაციული ქცევა	5	125	45	3	77	1/2/0/0							X		I.19.
I.25	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/2/0/0							X		I.18.
I.26	ლიდერობა და გუნდის მართვა	5	125	45	3	77	1/2/0/0								X	I.19.
I.27	პროექტის მართვა	5	125	45	3	77	1/2/0/0								X	I.9.
I.28	პროფესიული პრაქტიკა	5	125	60	3	62	0/4/0/0								X	I.16; I.19; I.21; V.1; V.3.
	სულ:	**140**	**3500**	**1335**	**84**	**2081**		**20**	**20**	**25**	**20**	**20**	**10**	**10**	**15**	

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
2	II. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS კრედიტი															
II.1	მათემატიკური მეთოდები და მოდელები მართვაში	5	125	45	3	77	1/2/0/0				X					I.13.
II.2	ბიზნესის სტატისტიკა		125	45	3	77	1/2/0/0									I.8.
II.3	საბანკო საქმის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/0/2/0					X				II.1.
II.4	გაყიდვების მენეჯმენტი		125	45	3	77	1/2/0/0									I.14.
II.5	აუდიტის საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/0						X			I.17.
II.6	ბიზნესის დაგეგმვა		125	45	3	77	1/2/0/0									I.8.
II.7	დაბეგვრის საფუძვლები	5	125	45	3	77	2/1/0/0							X		-
II.8	საბაჟო საქმე		125	45	3	77	2/1/0/0									-
II.9	საერთაშორისო ბიზნესი	5	125	45	3	77	1/2/0/0								X	I.8.
II.10	ბიზნესის ეთიკა		125	45	3	77	2/1/0/0									I.8.
	სულ:	**25**	**625**	**225**	**15**	**385**		**0**	**0**	**0**	**5**	**5**	**5**	**5**	**5**	
3	III. თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები- 15 ECTS კრედიტი															
III.1	აკადემიური წერა	5	125	45	3	77	1/0/0/2	X								
III.2	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	5	125	45	3	77	1/0/0/2	X								
III.3	ფსიქოლოგიის შესავალი	5	125	45	3	77	1/2/0/0		X							
	სულ:	**15**	**375**	**135**	**9**	**231**		**10**	**5**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	
4	IV. თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები- 30 ECTS კრედიტი															
IV.1	სამოქალაქო საზოგადოების როლი	5	125	45	3	77	2/0/0/1		X							
IV.2	ფილოსოფიის შესავალი		125	45	3	77	2/0/0/1									
IV.3	მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	5	125	45	3	77	2/1/0/0			X						
IV.4	ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		125	45	3	77	1/2/0/0									

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნი თი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
IV.5	საზღვაო გზების გეოგრაფია	5	125	45	3	77	2/1/0/0				X					
IV.6	სახელშეკრულებო სამართალი		125	45	3	77	2/1/0/0									
IV.7	საპორტო ოპერაციები	5	125	45	3	77	1/2/0/0					X				
IV.8	რისკები და დაზღვევა		125	45	3	77	2/1/0/0									
IV.9	ექსპედირების საფუძვლები	5	125	45	3	77	1/2/0/0						X			
IV.10	საკონტეინერო გადაზიდვები		125	45	3	77	1/2/0/0									
IV.11	საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია	5	125	45	3	77	1/2/0/0							X		
IV.12	შრომის უსაფრთხოება		125	45	3	77	1/2/0/0									
	სულ:	**30**	**750**	**270**	**18**	**462**		**0**	**5**	**5**	**5**	**5**	**5**	**5**	**0**	
5	**IV. კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ - 30 ECTS კრედიტი**															
V.1	სატრანსპორტო ლოგისტიკა	5	125	45	3	77	1/2/0/0						X			I.20.
V.2	ტვირთმცოდნეობა	5	125	45	3	77	1/2/0/0						X			-
V.3	საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი	5	125	45	3	77	1/2/0/0							X		I.9.
V.4	საზღვაო ტრანსპორტი და ნავსადგურები	5	125	45	3	77	1/2/0/0							X		I.20.
V.5	ინფორმაციული სისტემები ტრანსპორტზე	5	125	45	3	77	1/0/2/0								X	I.11.
V.6	კომერციული საქმიანობა საზღვაო ტრანსპორტზე	5	125	45	3	77	1/2/0/0								X	I.14.
	სულ:	**30**	**750**	**270**	**18**	**462**		**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**10**	**10**	**10**	
	სულ:	**240**	**6000**	**2235**	**144**	**3621**		**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	